სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

დავით აღმაშენებლის გამზირი №150
0112 თბილისი, საქართველო
+995 32 2439503 / +995 32 2439510
info@nea.gov.ge
nea.gov.ge

02 სექტემბერი 2025

N 21/8577

შპს „ლუკოილ-ჯორჯიას“ დირექტორს
ბატონ რომან პეტრაშოვს
მის: ქ. თბილისი, ჰეიდარ ალიევის სანაპირო, №11
ელ. ფოსტა: Zurab.shamatava@eu.lukoil.com


ასლი: გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტს

ბატონო რომან,

გაცნობებთ, რომ თქვენი 2025 წლის 22 და 27 აგვისტოს განცხადებების (სააგენტოს რეგისტრაციის №8189, 22.08.2025; №8326, 27.08.2025) საფუძველზე, სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს მიერ შეთანხმებული იქნა **შპს „ლუკოილ-ჯორჯიას“** ავტოგასამართი სადგურისთვის (ქ. თბილისი, მინდელის ხიდის მიმდებარედ, ს/კ 01.13.02.001.112) შემუშავებული ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების სტაციონარული წყაროების და მათ მიერ გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა ინვენტარიზაციის ტექნიკური ანგარიში.

პატივისცემით,

თამარ შარაშიძე



სააგენტოს უფროსი - მ.შ.

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

https://edocument.ge/mea/public/#/8577-21-2-202509021608

შპს “ლუკოილ ჯორჯია“

ავტოგასამართი სადგური „მინდელი“

ქ. თბილისი, მინდელის ხიდის მიმდებარედ

ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების სტაციონალური წყაროების და მათ მიერ გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა ინვენტარიზაციის ტექნიკური ანგარიში

შემსრულებელი:

შპს „ლუკოილ ჯორჯია“

ანა ქობლიანიძე _____

თბილისი 2025 წ.

ანოტაცია

წინამდებარე ანგარიში შესრულებელია ატმოსფერული ჰაერის დაცვის კანონმდებლობის შესაბამისად [3] და მასში სისტემატიზებულია ქ. თბილისში, მინდელის ხიდის მიმდებარე ტერიტორიაზე (ს/კ:01.13.02.001.112) მდებარე ავტოგასამართი სადგურის ექსპლუატაციის შედეგად (ავტოგასამართი სადგური ექსპლუატაციაში შევიდა 2025 წელს) არსებული ატმოსფერული ჰაერის სტაციონალური დაბინძურების წყაროების მიერ გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა რაოდენობრივი და თვისობრივი მახასიათებლები. ინვენტარიზაციის შედეგად გამოვლენილია ატმოსფეროში გაფრქვევის 8 სტაციონალური წყარო, შორის 5 ორგანიზებული და 2 არაორგანიზებული; ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეული მავნე ნივთიერების წლიური ჯამური რაოდენობა ტოლია - 2.24275 ტ; მაშასადამე, ნახშირწყალბადების წლიური ჯამური გაფრქვევა შეადგენს - 2.24275 ტ/წ

სარჩევი

1. ძირითადი ცნებები და განმარტებები 4
2. ძირითადი მონაცემები საწარმოს შესახებ....5
3. საწარმოს საქმიანობის ტექნოლოგიური პროცესის მოკლე დახასიათება ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების თვალსაზრისით 6
4. ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა რაოდენობის ანგარიში....8
5. ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა რაოდენობის გაანგარიშება დიზელის საწვავის რეალიზაციისთვის (გ-1, გ-6)....8
6. ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა რაოდენობის გაანგარიშება ბენზინის საწვავის რეალიზაციისთვის (გ-2, გ-3, გ-4, გ-5, გ-7)....8
7. მიღებული შედეგების ანალიზი....9
8. გამოყენებული ლიტერატურა 10
9. დანართი 1. მავნე ნივთიერებათა გამოყოფის წყაროების დახასიათება 11
10. დანართი 2. მავნე ნივთიერებათა გაფრქვევის წყაროების დახასიათება 12
11. დანართი 3. აირმტვერდამჭერი მოწყობილობების დახასიათება 13
12. დანართი 5. ავტოგასამართი სადგურის განთავსების სიტუაციური გეგმა 14
13. დანართი 6. ავტოგასამართი სადგურის გენ-გეგმა მავნე ნივთიერებათა გაფრქვევის წყაროების დატანით 15

ძირითადი ცნებები და განმარტებები

ა) „ატმოსფერული ჰაერი“ – ატმოსფერული გარსის ჰაერი, შენობა-ნაგებობებში არსებული ჰაერის გარდა;

ბ) „მავნე ნივთიერება“ – ადამიანის საქმიანობის შედეგად ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეული ნებისმიერი ნივთიერება, რომელიც ახდენს ან რომელმაც შეიძლება მოახდინოს უარყოფითი ზეგავლენა ადამიანის ჯანმრთელობასა და ბუნებრივ გარემოზე;

გ) „ატმოსფერული ჰაერის მავნე ნივტიერებებით დაბინძურება“ - ადამიანის საქმიანობის შედეგად ატმოსფერულ ჰაერში ნებისმიერი ნივთიერების გაფრქვევა, რომელიც ახდენს ან შეიძლება მოახდინოს უარყოფითი ზეგავლენა;

დ) „მავნე ნივთიერებათა გამოყოფის წყარო“ - ობიექტი, რომლიდანაც ხდება მავნე ნივთიერებატა გამოყოფა(ტექნოლოგიური დანადგარი, აპარატი და სხვა.);

ე) „მავნე ნივთიერებათა გაფრქვევის წყარო“ - ობიექტი, რომლიდანაც ხდება ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა გაფრქვევა (საკვამლე მილი, სავენტილაციო შახტა და სხვა);

ვ) „დაბინძურების წყარო“ - მავნე ნივთიერებათა გამოყოფის ან(და) გაფრქვევის წყარო;

ზ) „მავნე ნივთიერებათა ორგანიზებული გაფრქვევა“ - მავნე ნივთიერებათა გაფრქვევა სპეციალურად გაკეთებული მოწყობილობებიდან (საკვამლე მილი, სავენტილაციო შახტა და სხვა);

თ) „მავნე ნივთიერებათა არაორგანიზებული გაფრქვევა“ - მავნე ნივთიერებათა გაფრქვევა არამიმართული ნაკადის სახით (დანადგარების ჰერმეტულობის დარღვევის, ჩატვირთვა გადმოტვირთვის ადგილებში გამწოვი დანადგარების არადამაკმაყოფილებელი მუშაობის და საერთოდ მათი არარსებობის დროს და ა.შ.);

ი) ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები კონცენტრაციის ნორმა“ - ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა მაქსიმალური კონცენტრაცია დროის გარკვეული გასაშუალოებული პერიოდისთვის, რომელიც პერიოდული ზემოქმედებისას ან ადამიანის მთელი ცხოვრების მანძილზე არ ახდენს მასზე და საერთოდ გარემოზე მავნე ზემოქმედებას;

კ) ა“ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა საშუალო სადღეღამისო ზღვრულად დასაშვები კონცენტრაცია“ - ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა კონცენტრაცია, რომელიც განსაზღვრულია დღე-ღამის განმავლობაში აღებული სინჯების კონცენტრაციათა მნიშვნელობის გასაშუალოებით;

ლ) ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა მაქსიმალური ერთჯერადი ზღვრულად დასაშვები კონცენტრაცია“ - ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებთა მაქსიმალური კონცენტრაცია, რომელიც განსაზღვრულია 20-30 წუთიან დროის ინტერვალში ერთჯერადად აღებული სინჯების კონცენტრაციათა მნიშვნელობების მიხედვით;

მ) „ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დაშვების გაფრქვევის ნორმა“ - ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების სტაციონალური წყაროდან მავნე ნივთიერებათა გაფრქვევის დადგენილი რაოდენობა, გაანგარიშებული იმ პირობით, რომ დაბინძურების ამ წყაროსა და სხვა წყაროების ერთობლიობიდან გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა კონცენტრაცია ატმოსფერული ჰაერის მიწიპირა ფენაში არ აღემატებოდეს ამ წყაროს ზეგავლენის ტერიტორიისთვის დადგენილ მავნე ნივთიერებათა კონცენტრაციის ზღვრულად დასაშვებ ნორმებს;

ნ) „ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა დროებით შეთანხმებული გაფრქვევის ნორმა" - ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმამდე ეტაპობრივად მიღწევის (შემცირების) მიზნით დაბინძურების სტაციონალური წყაროსთვის დროებითი დადგენილი გაფრქვევის რაოდენობა.

ძირითადი მონაცემები საწარმოს შესახებ

ავტოგასამართი სადგური მდებარეობს ქ. თბილისში, მინდელის ხიდის მიმდებარედ და ახორციელებს ავტოსაწვავის (ბენზინის, დიზელის) მიღებას, მის დროებით შენახვას და შემდგომ რეალიზაციას მომხმარებელზე.

ძირითადი მონაცემები საწარმოს საქმიანობის შესახებ მოცემულია ცხრილში 1.

ცხრილი: 1

ობიექტის დასახელება	შპს „ლუკოილ ჯორჯია", აგს „მინდელი"
ობიექტის მისამართი	
ფაქტობრივი	ქ. თბილისში, მინდელის ხიდის მიმდებარედ
იურიდიული	ქ. თბილისი, ჰეიდარ ალიევის სანაპირო 11
საიდენტიფიკაციო კოდი	204976302
GPS კორდინატები (UTM WGS 1984 კორდინატთა სისტემა)	X: 481818 Y: 4626085
ობიექტის ხელმძღვანელი	
გვარი, სახელი	რომან პეტრაშოვი
ტელეფონი	599 97 00 06
ელ-ფოსტა	Zurab.shamatava@eu.lukoil.com
მანძილი ობიექტიდან უახლოეს დასახლებულ პუნქტამდე	232 მ
ეკონომიკური საქმიანობის სახე	საწვავის დასაწყობება და რეალიზაცია
გამოშვებული პროდუქციის სახეობა	საავტომობილო საწვავის რეალიზაცია
საპროექტო წარმადობა	ბენზინი - 1 600 მ^3, დიზელი - 1 500 მ^3
ნედლეულის სახეობა და ხარჯი	-
ბენზინის რეზერვუარების რ-ბა და მოცულობები, მ^3	4 ცალი - 1. petrol – 30 მ ^{3}. 2. petrol – 10 მ ^{3}. 3. petrol – 20 მ ^{3}. 4. petrol – 20 მ ^{3}.
დიზელის რეზერვუარების რ-ბა და მოცულობები, მ^3	1 ცალი 1.diesel – 30 მ ^{3}.
საწვავის სახეობა და ხარჯი (სატრანსპორტო საშუალებების გამოყენების გარდა)	-
სამუშაო დღეების რაოდენობა წელიწადში	365

სამუშაო საათების რაოდენობა დღე-ღამეში	24

საწარმოს საქმიანობის ტექნოლოგიური პროცესის მოკლე დახასიათება ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების თვალსაზრისით


ავტოგასამართი სადგური დაპროექტებულია „ავტოგასამართი სადგურებისა და ავტოგასამართი კომპლექსების უსაფრთხოების წესების დამტკიცების შესახებ" საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2008 წლის 8 დეკემბრის №1-1/2935 ბრძანებაში ასახული დებულების მოთხოვნის შესაბამისად.

ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების წყაროებს წარმოადგენს შემდეგი ტექნოლოგიური პროცესები და დანადგარები: თხევადი საწვავის (ბენზინი, დიზელი) მიღება ავტოცისტერნებით, დროებითი შენახვა (მიწისქვეშა რეზერვუარები) და მომხმარებლებზე გაცემა (საწვავ-სარიგებელი სვეტ წერტილების მეშვეობით).


ავტოგასამართი სადგურების ძირითადი მოწყობილობებია: თხევადი საწვავის (ბენზინი, დიზელი) საწვავ-გამანაწილებელი სვეტები (სულ 2 ერთეული ორმხრივი, მათ შორის: 1 ბენზინის და 1 დიზელის საწვავისთვის. ნავთობპროდუქტების რეზერვუარების შესახებ ძირითადი ინფორმაცია მოცემულია ცხრილ 3.1-ში.

ცხ.: 3.1


№	დანადგარის ტიპი	შესანახი ნავთობ პროდუქტი	მოცულობა ($მ^3$)	კედლის სისქე (მმ)	პროდუქტ მიღების წესი	დამცავი მოწყობილობა	სასუნთქი მოწყობილობა
1.	ლითონის რეზერვუარი	დიზელი	30	10	თვითდინებით	2 ფენიანი დამცავი შეღებვა	სასუნთქი სარქველი
2.	ლითონის რეზერვუარი	ბენზინი	30	10	თვითდინებით	2 ფენიანი დამცავი შეღებვა	სასუნთქი სარქველი
3.	ლითონის რეზერვუარი	ბენზინი	20	10	თვითდინებით	2 ფენიანი დამცავი შეღებვა	სასუნთქი სარქველი
4	ლითონის რეზერვუარი	ბენზინი	20	10	თვითდინებით	2 ფენიანი დამცავი შეღებვა	სასუნთქი სარქველი
5	ლითონის რეზერვუარი	ბენზინი	10	10	თვითდინებით	2 ფენიანი დამცავი შეღებვა	სასუნთქი სარქველი



ტიპიური მიწისქვეშა 20-25 მ3 –იანი რეზერვუარის ნახაზი



ტიპიური მიწისქვეშა 20-25 მ3 –იანი რეზერვუარის ნახაზი



ნავთობპროდუქტების მიწოდების ტიპიური ტექნოლოგიური სქემა

1. ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა სახეობები და ძირითადი მახასიათებლები

საწარმოს ექსპლუატაციის პროცესში მოსალოდნელია ქვემოთ მოყვანილი მავნე ნივთიერებების ემისია, რომელმა მაქსიმალური ერთჯერადი და საშუალო დღეღამური ზღვრულად დასაშვები კონცენტრაციები [4] მოცემულია ცხრილში 4.1

ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები კონცენტრაციები

ცხ.: 4.1

მავნე ნივთიერებათა დასახელება	ზღვრულად დასაშვები კონცენტრაცია, მგ/მ³			მავნებლობის საშიშროების კლასი
	კოდი	მაქსიმალური ერთჯერადი	საშუალო სადღეღამისო	
1	2	3	4	5
ნავთობის ნახშირწყალბადები (ჯამურად)	2754	1,0	-	4

ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა რაოდენობის ანგარიში

საქართველოს მთავრობის 2014 წლის 6 იანვრის №42 დადგენილების „ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების სტაციონალური წყაროების ინვენტარიზაციის ტექნიკური რეგლამენტი"- ს მე - 5 მუხლის თანახმად ემისიის რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლების გაანგარიშება შესაძლებელია განხორციელდეს ორი გზით:

1. უშუალოდ ინსტრუმენტალური გაზომვით;
2. საანგარიშო მეთოდის გამოყენებით.

წინამდებარე დოკუმენტში გაანგარიშება შესრულებულია საანგარიშო მეთოდის გზით.

ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა რაოდენობის გაანგარიშება დიზელის საწვავის რეალიზაციისთვის (გ-1, გ-2, გ-6)

ტექნოლოგიურ პროცესში მავნე ნივთიერებათა აიროვანი გამონაფრქვევები გაანგარიშებულია მე - [5] -ს მიხედვით, რომლითაც (დანართი №98) ერთ ლიტრ რეალიზებულ დიზელის საწვავზე საერთო კუთრი დანაკარგი (მიღება, შენახვა და გაცემა) შეადგენს 0,0025 გრ-ს. შესაბამისად, წლიური დანაკარგი გამოითვლება დიზელის საწვავის წლიური მოცულობის (ლიტრებში) რეალიზაციის გამრავლებით კოეფიციენტზე - 0,0025. დიზელის საწვავის წლიური სავარაუდო რეალიზაცია შეადგენს 1500 მ³ (1 500 000 ლ/წ) გაფრქვევის წყაროებისთვის.

მავნე ნივთიერებათა ემისია გამოითვლება ფორმულებით:

$M = V_1 * C_{საშ}$ (გ/წმ)

$G = V_1 * C_{საშ} * T * 3600/10^6$ (ტ/კვარტალი ან წელი)

$C_{საშ}$ - მავნე ნივთიერებათა საშუალო კონცენტრაცია აირჰაერმტვრნარევში, გ/მ³;

T - მავნე ნივთიერებათა გამოყოფის წყაროს მუშაობის დრო, სთ, კვარტალი ან წელი.

წლიური ემისია - 1 500 000 ლ/წელ * 0,0025 გ/ლ * 10^{-6}=0.00375 ტ/წ

ავტოგასამართი სადგურის მუშაობის რეჟიმი (24 სთ/დღ წლის განმავლობაში) გათვალისწინებით წამური ემისია იქნება: დიზელისთვის - 0. 00375 ტ/წ * 10^{6}/365დღ/24სთ/3600წმ = 0.000189 გ/წმ

ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა რაოდენობის გაანგარიშება ბენზინის საწვავის რეალიზაციისთვის (გ-3, გ-4, გ-5, გ-7, გ-8)

ტექნოლოგიურ პროცესში მავნე ნივთიერებათა აიროვანი გამონაფრქვევები გაანგარიშებულია მე - [5] -ს მიხედვით, რომლითაც (დანართი №98) ერთ ლიტრ რეალიზებულ ბენზინისთვის საწვავზე საერთო კუთრი დანაკარგი (მიღება, შენახვა და გაცემა) შეადგენს 1,4 გრ-ს. შესაბამისად, წლიური დანაკარგი გამოითვლება ბენზინის საწვავის წლიური მოცულობის (ლიტრებში) რეალიზაციის გამრავლებით კოეფიციენტზე - 1.4.

ბენზინის საწვავის წლიური სავარაუდო რეალიზაცია შეადგენს 1 600 $მ^3$ (1 600 000 ლ/წ).

მავნე ნივთიერებათა ემისია გამოითვლება ფორმულებით:

$M=V_1 * C_{საშ}$ (გ/წმ)

$G= V_1 * C_{საშ} * T * 3600/10^6$ (ტ/კვარტალი ან წელი)

$C_{საშ}$ - მავნე ნივთიერებათა საშუალო კონცენტრაცია აირჰაერმტვრნარევში, გ/$მ^3$;

T - მავნე ნივთიერებათა გამოყოფის წყაროს მუშაობის დრო, სთ, კვარტალი ან წელი.

წლიური ემისია - 1 600 000 ლ/წელ * 1,4 გ/ლ * 10^{-6} = 2,24 ტ/წ

ავტოგასამართი სადგურის მუშაობის რეჟიმი (24 სთ/დღ წლის განმავლობაში) გათვალისწინებით წამური ემისია იქნება: ბენზინისთვის - 2,24 ტ/წ *10^{6}/365დღ/24სთ/3600წმ = 0.07102993 გ/წმ

მიღებული შედეგების ანალიზი

ინვენტარიზაციის შედეგად გამოვლენილია ატმოსფეროში გაფრქვევის 7 სტაციონალური წყარო, შორის 5 ორგანიზებული და 2 არაორგანიზებული; ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეული მავნე ნივთიერების წლიური ჯამური რაოდენობა ტოლია - 2,24275 ტ; მაშასადამე, ნახშირწყალბადების წლიური ჯამური გაფრქვევა შეადგენს - 2,24275 ტ/წ.

დანართებში წარმოდგენილია საინვენტარიზაციო ფორმები (მავნე ნივთიერებათა გამოყოფის წყაროების დახასიათება - ფორმა №1, მავნე ნივთიერებათა გაფრქვევის წყაროების დახასიათება - ფორმა №2, აირ-მტვერ-დამჭერი მოწყობილობის დახასიათება - ფორმა №3, ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა გაფრქვევა, მათი გაწმენდა და უტილიზება, ტ/წელი - ფორმა №4, საწარმოს განთავსების სიტუაციური გეგმა და საწარმოს გენ-გეგმა მავნე ნივთიერებათა გაფრქვევის წყაროების დატანით).

გამოყენებული ლიტერატურა

1) საქართველოს კანონი „გარემოს დაცვის შესახებ", თბილისი, 1996.
2) საქართველოს კანონი „ატმოსფერული ჰაერის დაცვის შესახებ", თბილისი 1999.
3) საქართველოს მთავრობის 2014 წლის 6 იანვრის დადგენილება №42 „ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების სტაციონალური წყაროების ინვენტარიზაციის ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების შესახებ".
4) საქათველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2003 წლის 24 თებერვლის ბრძანება №38/ნ <<გარემოს ხარისხობრივი ნორმების დამტკიცების შესახებ>>.
5) საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის დადგენილება №435 „დაბინძურების სტაციონალური წყაროებიდან ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვევების ფაქტობრივი რაოდენობის განსაზღვრის ინსტრუმენტული მეთოდის, დაბინძურების სტაციონალური წყაროებიდან ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვევის ფაქტობრივი რაოდენობის დამდგენი სპეციალური გამზომ-საკონტროლო აპარატურის სტანდარტული ჩამონათვალისა და დაბინძურების სტაციონალური წყაროებიდან ტექნოლოგიური პროცესების მიხედვით ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვევის ფაქტობრივი რაოდენობის საანგარიშო მეთოდიკის შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე".

დანართი 1. მავნე ნივთიერებათა გამოყოფის წყაროების დახასიათება

წარმოების, საამქროს, უბნის დასახელება	მავნე ნივთიერებათა გაფრქვევის წყაროს			მავნე ნივთიერებათა გამოყოფის წყაროს			მავნე ნივთიერებათა გამოყოფის წყაროს მუშაობის დრო, სთ		მავნე ნივთიერებათა დასახელება	გამოყოფის წყაროდან გაფრქვეული მავნე ნივთიერებათა რაოდენობა	
	№	დასახელება	რაოდენობა, ცალი	№	დასახელება	რაოდენობა, ცალი	დღე-ღამეში	წელიწადში		კოდი	ტ/წელი
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12
ავტოგასამართი სადგური დიზელის უბანი	გ-1	მილი	1	1	დიზელის რეზერვუარის სასუნთქი სარქველები	1	24	8760	ნავთობის ნახშირწყალბადები (ჯამურად)	2754	0,00375
	გ-6	არაორგანიზებული	1	501	სვეტ-წერტილი	1					
ავტოგასამართი სადგური ბენზინის უბანი	გ-2 გ-3 გ-4 გ-5	მილი	1 1 1 1	3 4 5	ბენზინის რეზერვუარის სასუნთქი სარქველები	4	24	8760	ნავთობის ნახშირწყალბადები (ჯამურად)	2754	2,24
	გ-7	არაორგანიზებული	1	502	სვეტ-წერტილი	1					

დანართი 2. მავნე ნივთიერებათა გაფრქვევის წყაროების დახასიათება

მავნე ნივთიერების გაფრქვევის წყაროს ნომერი	მავნე ნივთიერების გაფრქვევის წყაროს პარამეტრები, მ		აირ ჰაეროვანი ნარევის პარამეტრები მავნე ნივთიერებათა გაფრქვევის წყაროს გამოსვლის ადგილას			მავნე ნივთიერების კოდი	ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეული მავნე ნივთიერებათა რაოდენობა		მავნე ნივთიერებათა გაფრქვევის წყაროს კოორდინატები საწარმოს კოორდინატთა სისტემაში, მ					
									წერტილოვანი წყაროსთვის		ხაზოვანი წყაროსთვის			
	სიმაღლე, მ	დიამეტრი, მ	სიჩქარე მ/წმ	მოცულობითი სიჩქარე მ³/წმ	ტემპერატურა C°		მაქსიმალური გ/წმ	ჯამური ტ/წ	X	Y				
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	48
გ-1	2	2,59	1,05	0,0083	30	2754	0. 0000189	0. 00375	26,3 18,4	22,5 17,8	- -	- -	- -	- -
გ-6	ა რ ა ო რ გ ა ნ ი ზ ე ბ უ ლ ი გ ა მ ო ყ ო ფ ა								9.8	0.0	-	-	-	-
გ-2 გ-3 გ-4 გ-5	2	2,59	1,05	0,0083	30	2754	0. 07102993	2,24	17,4 19,2 2,6	15,2 10,8 8,9	- - -	- - -	- - -	- - -
გ-7	ა რ ა ო რ გ ა ნ ი ზ ე ბ უ ლ ი გ ა მ ო ყ ო ფ ა								4,6	6,0	-	-	-	-

დანართი 3. აირმტვერდამჭერი მოწყობილობების დახასიათება


მავნე ნივთიერება			აირ მტვერდამჭერი მოწყობილობა		მავნე ნივთიერებათა კონცენტრაცია, გ/მ^3		აირმტვერდამჭერი მოწყობილობის გაწმენდის კოეფიციენტი	
გამოყოფის წყაროს ნომერი	გაფრქვევის წყაროს ნომერი	კოდი	დასახლება და ტიპი	რაოდენობა, ცალი	გაწმენდამდე	გაწმენდის შემდეგ	საპროექტო	ფაქტიური
1	2	3	4	5	6	7	8	9

აირმტვერდამჭერი მოწყობილობები ტექნოლოგიური სქემით არ არის გათვალისწინებული


დანართი 4. ატმოსფერული ჰაერში მავნე ნივთიერებათა გაფრქვევა, მათი გაწმენდა და უტილიზება.

მავნე ნივთიერებათა		გამოყოფის წარმოებიდან წარმოქმნილი მავნე ნივთიერებათა რაოდენობა (სვ.4_სვ.6)	მათ შორის			გასაწმენდად შესულიდან დაჭერილი და გაუვნებლყოფილია		სულ ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა რაოდენობა (სვ.3-სვ.7)	მავნე ნივთიერებათა დაჭერის პროცენტი გამოყოფილთან შედარებით (სვ.7/სვ.3) 100
			გაფრქვეულია გაწმენდის გარეშე		სულ მოხვდა გამწმენდ მოწყობილობაში				
კოდი	დასახელება		სულ	მათ შორის ორგანიზებული გამოყოფის წყაროებიდან		სულ	მათ შორის უტილიზირებულია		
1	2	3	4	5	6	7	8	9	10
2754	ნავთობის ნახშირწყალბადები (ჯამურად)	2,24275	2,24275	-	-	-	-	2,24275	0,0

დანართი 5. ავტოგასამართი სადგურის განთავსების სიტუაციური გეგმა



დანართი 6. ავტოგასამართი სადგურის გენ-გეგმა მავნე ნივთიერებათა გაფრქვევის წყაროების დატანით



სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

დავით აღმაშენებლის გამზირი №150
0112 თბილისი, საქართველო
+995 32 2439503 / +995 32 2439510
info@nea.gov.ge
nea.gov.ge

22 აგვისტო 2025

N 21/8233

შპს „ლუკოილ ჯორჯიას“

მის: ქ. თბილისი, საბურთალოს რაიონი, ჰეიდარ ალიევის სანაპირო, №11

ასლი: სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტს

გიგზავნით, „ქ. თბილისში შპს „ლუკოილ ჯორჯიას“ ნავთობპროდუქტების საცავის (ავტოგასამართი სადგური) მოწყობასა და ექსპლუატაციაზე სკრინინგის გადაწყვეტილების შესახებ“ სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს 2025 წლის 21 აგვისტოს №446/ს ბრძანებას.

თამარ შარაშიძე

სააგენტოს უფროსის პირველი მოადგილე

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

https://edocument.ge/mea/public/#/8233-21-2-202508221019

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

21 აგვისტო 2025

N 446/ს

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

ქ. თბილისში შპს „ლუკოილ ჯორჯიას“ ნავთობპროდუქტების საცავის (ავტოგასამართი სადგური) მოწყობასა და ექსპლუატაციაზე სკრინინგის გადაწყვეტილების შესახებ

შპს „ლუკოილ ჯორჯიას“ მიერ, „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ (შემდგომ – კოდექსი) შესაბამისად, გარემოზე ზემოქმედების შეფასების ჩატარების საჭიროების დადგენის მიზნით, სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში (შემდგომ – სააგენტო) წარმოდგენილია ქ. თბილისში შპს „ლუკოილ ჯორჯიას“ ნავთობპროდუქტების საცავის (ავტოგასამართი სადგური) მოწყობასა და ექსპლუატაციაზე სკრინინგის განცხადება.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, ნავთობპროდუქტების საცავის (ავტოგასამართი სადგური) მოწყობა და ექსპლუატაცია დაგეგმილია ქ. თბილისში, მინდელის ხიდის მიმდებარედ, შპს „ლუკოილ ჯორჯიას“ საკუთრებაში არსებულ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (ს/კ: 01.13.02.001.112; ფართობი: 2023 მ^2). საპროექტო ტერიტორიიდან უახლოესი დასახლებული პუნქტი დაშორებულია დაახლოებით 232 მეტრით. მონაცემთა ელექტრონული გადამოწმებით, საპროექტო ტერიტორიიდან აღმოსავლეთით, დაახლოებით 110 მეტრში ფიქსირდება ავტოგასამართი სადგური.

სკრინინგის განცხადების მიხედვით, საპროექტო ტერიტორიაზე ავტოგასამართი სადგურისთვის გათვალისწინებული ნავთობპროდუქტების საცავი (სარეზერვუარო პარკი) წარმოდგენილი იქნება 5 ერთეული, ჯამურად 110 მ^3 მოცულობის მიწისქვეშა რეზერვუარით, რომელთაგან 4 ერთეული (ერთი ერთეული – 30 მ^3, ორი ერთეული – 20 მ^3 და ერთი ერთეული 10 მ^3) განკუთვნილი იქნება ბენზინის საწვავის, ხოლო ერთ ერთეული (30 მ^3) – დიზელის საწვავის შესანახად. სარეზერვუარო პარკი აღიჭურვება სასუნთქი სარქვლებით (პარამეტრები: სიმაღლე – 1.5 მეტრი, დიამეტრი – 0.62 მეტრი), ხოლო რეზერვუარებსა და ჩამსხმელ დისპენსერებზე დამონტაჟდება დაღვრის საწინააღმდეგო ავარიული გათიშვის ღილაკები და ჩამკეტები. სარეალიზაციო საწვავი ავტოგასამართ სადგურზე შევა ავტოცისტერნებით და განთავსდება შესაბამის რეზერვუარებში, საიდანაც ტექნოლოგიური მილსადენით მიეწოდება მარიგებელი სვეტების ფარდულში გათვალისწინებულ ორ ერთეულ საწვავის მარიგებელ სვეტს. მარიგებელი სვეტები აღიჭურვება საწვავის ჩასასხმელი 16 ერთეული ე.წ „პისტოლეტით“, საიდანაც მოხდება საწვავის მომხმარებელზე გაცემა. ავტოგასამართი სადგური იმუშავებს წელიწადში 365 დღე, 24-საათიანი რეჟიმით და წლის განმავლობაში უზრუნველყოფს 1 600 მ^3 ბენზინის და 1 500 მ^3 დიზელის რეალიზაციას.

წარმოდგენილი ინფორმაციის შესაბამისად, ავტოგასამართი სადგურის ფუნქციონირებისათვის საჭირო წყალაღება მოხდება ქალაქის ცენტრალური წყალმომარაგების ქსელიდან. ობიექტზე წარმოქმნილი სამეურნეო-საყოფაცხოვრებო ჩამდინარე წყლები დაერთდება ქალაქის ცენტრალურ საკანალიზაციო სისტემაზე. საპროექტო ტერიტორია დაიფარება ბეტონის საფარით, ხოლო ავარიულად დაღვრილი საწვავის გარემოში მოხვედრის პრევენციის მიზნით, ობიექტზე განთავსდება აბსორბენტები ან/და ქვიშა,

რომელიც გამოყენებული იქნება საჭიროებისამებრ. ობიექტზე ნავთობპროდუქტებით დაბინძურებული წყლის წარმოქმნის შემთხვევაში, აღნიშნული წყალი, არხების მეშვეობით, შეიკრიბება საპროექტო ტერიტორიაზე გათვალისწინებულ 3 ლ/წმ წარმადობის სეპარატორში, რომელიც უზრუნველყოფს ტექნიკური წყლისა და შლამის გამოყოფას.

სკრინინგის განცხადების თანახმად, საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე, ავტოგასამართი სადგურის ექსპლუატაციის ეტაპზე ადგილი ექნება მავნე ნივთიერებების, კერძოდ, ნავთობპროდუქტების ნახშირწყალბადების წარმოქმნას და მათ ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვევას, რომელთა მაქსიმალური ინტენსივობები დაფიქსირდება ნავთობპროდუქტების მიღების, შენახვისა და რეალიზაციისას. ვინაიდან, სარეზერვუარო პარკი განთავსებული იქნება მიწის ქვეშ, შემცირდება მასზე გარემო ფაქტორების (მზის გამოსხივება, ტემპერატურა და ა. შ) უარყოფითი ზემოქმედების რისკი, ასევე შეიზღუდება გაფრქვევათა შორ მანძილებზე გავრცელების საფრთხე. შესაბამისად, გაფრქვევები ლოკალიზებული იქნება ავტოგასამართი სადგურის ტერიტორიაზე და იშვიათად გასცდება ობიექტის განთავსების ტერიტორიის საზღვრებს. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მოსალოდნელი კუმულაციური ზემოქმედების გათვალისწინებით, დაგეგმილი საქმიანობა არ იქნება დაკავშირებული ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე მნიშვნელოვან ზემოქმედებასთან.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე, ავტოგასამართი სადგურის ექსპლუატაცია არ იქნება დაკავშირებული ხმაურის გავრცელებით მოსალოდნელ მნიშვნელოვან ზემოქმედებასთან.

სკრინინგის განცხადების შესაბამისად, ავტოგასამართი სადგურის ფუნქციონირების პროცესში მოსალოდნელია არასახიფათო და სახიფათო ნარჩენების წარმოქმნა, რომლებიც შეგროვდება სეპარირებულად. არასახიფათო ნარჩენების გატანა უზრუნველყოფილი იქნება ხელშეკრულების საფუძველზე, ხოლო სახიფათო ნარჩენები, შემდგომი მართვის მიზნით, გადაეცემა შესაბამისი ნებართვის მქონე კომპანიას.

წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, საპროექტო ტერიტორია არ მდებარეობს არქეოლოგიური და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების, ასევე, დაცული და ტყით მჭიდროდ დაფარული ტერიტორიების სიახლოვეს, სადაც გაბატონებულია საქართველოს „წითელი ნუსხის“ სახეობები. საპროექტო ტერიტორია მდებარეობს ანთროპოგენური ზემოქმედებით სახეცვლილ გარემოში, სადაც ნიადაგის ნაყოფიერი ფენა, ხე-მცენარეული საფარი და ცხოველების ბინადრობისათვის ხელსაყრელი პირობები წარმოდგენილი არ არის.

კოდექსის მე-7 მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, სკრინინგის განცხადება გამოქვეყნდა გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალზე და გადაიგზავნა საბურთალოს რაიონულ გამგეობაში, საინფორმაციო დაფაზე განთავსების მიზნით. სკრინინგის განცხადების განხილვის ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე საზოგადოების მხრიდან სკრინინგის განცხადებით გათვალისწინებულ საქმიანობასთან დაკავშირებით წერილობითი შენიშვნები და მოსაზრებები სააგენტოში წარმოდგენილი არ ყოფილა.

აღსანიშნავია, რომ კოდექსის მიხედვით, სკრინინგის პროცედურას ექვემდებარება ნავთობპროდუქტების საცავის მოწყობა, რომელიც ავტოგასამართი სადგურების შემთხვევაში, წარმოადგენს მხოლოდ საწვავის რეალიზაციასთან დაკავშირებული ინფრასტრუქტურის ნაწილს. სკრინინგის განცხადების შესწავლით დგინდება, რომ დაგეგმილი საქმიანობის სპეციფიკის, მახასიათებლებისა და ნავთობპროდუქტების საცავის ჯამური მოცულობის გათვალისწინებით, აღნიშნული საქმიანობა არ იქნება დაკავშირებული გარემოს სხვადასხვა კომპონენტებზე მოსალოდნელ მნიშვნელოვან ზემოქმედებასთან.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, დაგეგმილი საქმიანობის კოდექსით განსაზღვრული კრიტერიუმებით შეფასების მიხედვით, ამავე კოდექსის მე-7 მუხლის მე-6 ნაწილისა და II დანართის მე-3 პუნქტის 3.5 ქვეპუნქტის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. მიღებულ იქნეს სკრინინგის გადაწყვეტილება, რომ ქ.თბილისში შპს „ლუკოილ ჯორჯიას“ ნავთობპროდუქტების საცავის (ავტოგასამართი სადგური) მოწყობა და ექსპლუატაცია **არ დაექვემდებაროს** გარემოზე ზემოქმედების შეფასებას;
2. შპს „ლუკოილ ჯორჯია“ ვალდებულია კოდექსის მე-7 მუხლის მე-8 ნაწილის შესაბამისად, უზრუნველყოს გარემოსდაცვითი ტექნიკური რეგლამენტებით დადგენილი მოთხოვნებისა და გარემოსდაცვითი ნორმების დაცვა;
3. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს შპს „ლუკოილ ჯორჯიას“;
4. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „ლუკოილ ჯორჯიას“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
5. სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემიდან 5 დღის ვადაში გადაწყვეტილება განთავსდეს გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალზე და საბურთალოს რაიონული გამგეობის საინფორმაციო დაფაზე;
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დავით. აღმაშენებლის ხეივანი №64), მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ელენე ღუბიანური

სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

https://edocument.ge/mea/public/#/446-21-4-202508211446

შპს“ლუკოილ ჯორჯიას“

სკრინინგის განცხადება

თბილისის მუნიციპალიტეტში მინდელის ხიდის მიმდებარედ დაგეგმილია ავტოგასამართი სადგურის ექსპლუატაცია (ს/კ 01.13.02.001.112; GPS კოორდინატები X: 481818; Y: 4626085).

ავტოგასამართი სადგური აშენდება დასახლებული პუნქტიდან 232 მეტრის დაშორებით, ხოლო ზღვის სანაპიროდან 249 კმ-ით. ობიექტი არ განთავსდება ჭარბტენიან, დაცულ, ტყით მჭიდრო დაფარულ ტერიტორიასთან, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებთან ან სხვა ობიექტთან სიახლოვეს.

საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად შპს „ლუკოილ ჯორჯია“ წარმოგიდგენთ განცხადებას სკრინინგის პროცედურის გასავლელად და ველით თქვენს გადაწყვეტილებას.

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიასთან წარდგენილია ყველა საჭირო დოკუმენტაცია მშენებლობის ნებართვის გაცემისათვის, რომელიც მიმდინარეობის პროცესშია და მოთხოვნის შესაბამისად წარმოდგენილი იქნება მოგვიანებით. ამ ეტაპზე გაცემულია თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის არქიტექტურის სამსახურის ბრძანება N 7180005 ტერიტორიის სამშენებლოდ გამოყენების შესახებ.

მიწის ნაკვეთის ფართობი შეადგენს 2023 მ^2, მასზე განთავსდება ოფის-მარკეტის შენობა, მარიგებელი სვეტების ფარდული, თხევადი საწვავით ავტომანქანების გამართვისათვის გათვალისწინებული, ბეტონის სარკოფაგში მოთავსებული 5 ჰორიზონტალური სტაციონალური რეზერვუარი.

რეზერვუარების საპროექტო მოცულობა იქნება - 110 მ^3:

აქედან ბენზინის საწვავის რეზერვუარი 4 ც, მოცულობა:

1- 30 მ ^{3}, 2 -20 მ ^{3}, 3 – 20 მ ^{3}, 4 – 10 მ ^{3}

დიზელის საწვავის რეზერვუარი 1 ც, მოცულობა:

1- 30 მ ^{3}

რეზერვუარებზე მოწყობილი სასუნთქი სარქველების სიმაღლე: h – 1,5 მ.

დიამეტრი: D – 0,62 მ.

ავტოგასამართი სადგური გათვალისწინებული იქნება ბენზინის და დიზელის რეალიზაციისათვის.

ავტოგასამართ სადგურზე რეალიზაციისათვის საწვავის მიღება მოხდება ავტოცისტერნებით და გადაიტანება ზემოთაღნიშნულ მიწისქვეშა რეზერვუარებში, საიდანაც

ტექნოლოგიური მილსადენით მიეწოდება მარიგებელ სვეტებს, საიდანაც მოხდება ავტომანქანების საწვავით გამართვა.

ბენზინის და დიზელი მარიგებელი სვეტები - 2 ც.

ავტომანქანაში ჩასასხმელი პისტოლეტები - 16 ც, აქედან:

12 ც - ბენზინი.

4 ც - დიზელი.

ავტოგასამართი სადგურისათვის დაგეგმილი (საპროექტო), წლიური რეალიზაცია შეადგენს:

ბენზინი - 1 600 000 ლ.

დიზელი - 1 500 000 ლ.

საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე, ადგილი აქვს საწარმოს ძირითად უბნებზე მავნე ნივთიერებათა წარმოქმნას და მათ გაფრქვევას ატმოსფეროში, რომლის შესახებ დოკუმენტი „ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების სტაციონალური წყაროების და მათ მიერ გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა ინვენტარიზაციის 5 წლიანი ტექნიკური ანგარიში“ შესათანხმებლად წარედგინება საქართველოს გარემოს ეროვნულ სააგენტოს.

წარმოქმნილ მავნე ნივთიერებებს წარმოადგენს:

ნავთობპროდუქტების ნახშირწყალბადები. მათი წარმოქმნის მაქსიმალური ინტენსივობა ფიქსირდება ავტოცისტერნებიდან მიწისქვეშა რეზერვუარებში ნავთობპროდუქტების მიღებისას და ავტომობილებზე საწვავის გაცემისას.

დიზელის საწვავის წლიური სავარაუდო რეალიზაცია შეადგენს 1 500 მ^3 (1 500 000 ლ/წ).

მავნე ნივთიერებათა ემისია გამოითვლება ფორმულებით:

$M=V_1 * C_{საშ}$ (გ/წმ)

$G= V_1 * C_{საშ} * T * 3600/10^6$ (ტ/კვარტალი ან წელი)

$C_{საშ}$ - მავნე ნივთიერებათა საშუალო კონცენტრაცია აირჰაერმტვრნარევში, გ/მ^3;

T - მავნე ნივთიერებათა გამოყოფის წყაროს მუშაობის დრო, სთ, კვარტალი ან წელი.

წლიური ემისია - 1 500 000 ლ/წელ * 0,0025 გ/ლ * 10^{-6}=0.00375 ტ/წ

ავტოგასამართი სადგურის მუშაობის რეჟიმი (24 სთ/დღ წლის განმავლობაში) გათვალისწინებით წამური ემისია იქნება: დიზელისთვის - 0. 00375 ტ/წ * 10^6/365დღ/24სთ/3600წმ = 0.000189 გ/წმ

ბენზინის საწვავის წლიური სავარაუდო რეალიზაცია შეადგენს 1 600 მ³ (1 600 000 ლ/წ).

მავნე ნივთიერებათა ემისია გამოითვლება ფორმულებით:

$M=V_1 * C_{საშ}$ (გ/წმ)

$G= V_1 * C_{საშ} * T * 3600/10^6$ (ტ/კვარტალი ან წელი)

$C_{საშ}$ - მავნე ნივთიერებათა საშუალო კონცენტრაცია აირჰაერმტვრნარევში, გ/მ³;

T - მავნე ნივთიერებათა გამოყოფის წყაროს მუშაობის დრო, სთ, კვარტალი ან წელი.

წლიური ემისია - 1 600 000 ლ/წელ * 1,4 გ/ლ * 10^{-6} = 2,24 ტ/წ

ავტოგასამართი სადგურის მუშაობის რეჟიმი (24 სთ/დღ წლის განმავლობაში) გათვალისწინებით წამური ემისია იქნება: ბენზინისთვის - 2,24 ტ/წ *10^6/365დღ/24სთ/3600წმ = 0.07102993 გ/წმ.

ავტოგასამართი სადგურის ფუნქციონირებისათვის საჭირო წყალაღება და წყალარინება განხორციელდება ქალაქის ცენტრალური წყლის ქსელიდან და ჩაეშვება საკანალიზაციო ქსელში.

ობიექტის ფუნქციონირების დროს ადგილი ექნება სამეურნეო-საყოფაცხოვრებო წყლის წარმოქმნას. წყალარინება და საყოფაცხოვრებო წყალჩაშვება განხორციელდება ავტოგასამართ სადგურზე მოწყობილი წყალარინების და საკანალიზაციო სისტემის გავლით ქალაქის საკანალიზაციო სისტემაში.

საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე ხმაურის დონის გავრცელება და გადაჭარბება არ არის მოსალოდნელი. ობიექტზე არ იგეგმება ისეთი საქმიანობა, რამაც შეიძლება გამოიწვიოს ხმაურის დადგენილი ნორმების დარღვევა.

ავტოგასამართ სადგურზე დასაქმდება ადგილობრივი მოსახლეობა, რის გამოც დემოგრაფიული ცვლილება მოსალოდნელი არ არის. ობიექტის პერსონალის მაქსიმალური რაოდენობა იქნება 16 ადამიანი. ავტოგასამართი სადგური იფუნქციონირებს 365 დღე წლის მანძილზე და 24 საათი დღის მანძილზე.

აღნიშნული ობიექტის საქმიანობა დადებით გავლენას მოახდენს ქალაქის სოციალურ-ეკონომიკურ გარემოზე.

ობიექტის მიწის სამუშაოების წარმოება არ განხორციელებულა, თუმცა წინასწარი შესწავლით არქეოლოგიური ან კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი არ დაფიქსირებულა. ავტოგასამართი სადგურის მშენებლობისას რაიმე სახის ბუნებრივი რესურსების გამოყენებას ადგილი არ ექნება.

ავტოგასამართი სადგურის მუშაობის დროს არსებობს საწვავის დაღვრის რისკი, რასაც შესაძლოა სდევდეს ნიადაგის ან/და გრუნტის წყლების დაბინძურება. ჩატარებულია რისკების წინასწარი შეფასება და ინციდენტის მაქსიმალური პრევენცია. ობიექტზე უსაფრთხოების მიზნით განთავსდება დაღვრის აღჭურვილობა. ეს არის აბსორბენტები ან/და ქვიშა, რომელიც გამოიყენება საჭიროებისამებრ.

რეზერვუარებსა და ჩამსხმელ დისპენსერებზე დამონტაჟდება დაღვრის საწინააღმდეგო ავარიული გათიშვის ღილაკები და ჩამკეტები. ობიექტზე ნავთობით დაბინძურებული წყლის წარმოქმნას ადგილი არ ექნება, თუმცა მისი წარმოქმნის რისკი არსებობს. იმ მიზნით, რომ არ მოხდეს გარემოზე ზიანის მიყენება, იგეგმება ნავთობპროდუქტებით დაბინძურებული წყლის გამწმენდი დანადგარის მოწყობა (PetroMetal). დაბინძურებული წყალი (მცირე დაღვრის შედეგად) ჩაედინება არხების მეშვეობით აღნიშნულ დანადგარში, რომელიც მოახდენს მის გაწმენდას. შედეგად, გამოყოფილი იქნება ტექნიკური წყალი და დანარგარში დარჩება მყარი/თხევადი სახიფათო ნარჩენები. ამ დაბინძურებული ნავთობიანი შლამისგან დანადგარის გაწმენდა მოხდება პერიოდულად, ლიცენზირებული კომპანიის მიერ. დამონტაჟებული იქნება კომპაქტური გამწმენდი ნაგებობა წარმადობით 3 ლ/წმ. გამწმენდი დანადგარის სქემა (ჭრილი და გეგმა), მუშაობის ტექნოლოგიური სქემა, ინფორმაცია დანადგარის შესახებ და ნახაზები შეგიძლიათ იხილოთ დანადგარის პასპორტში. დანართის სახით წარმოგიდგენთ დანადგარის ნახაზებს.

ავტოგასამართი სადგურის ფუნქციონირების შედეგად წარმოქმნილი, მავნე ნივთიერებების ემისიების გავლენას საწარმოს განლაგების ზონის გრუნტის წყლებზე და ნიადაგზე პრაქტიკულად ადგილი არ ექნება. ამას განაპირობებს ის გარემოება, რომ საწარმოო ტექნოლოგიური პროცესების ყველა ციკლის ფუნქციონირება - რეალიზაცია, არ წარმოქმნის გრუნტის წყლების დაბინძურების შესაძლებლობას საწარმოს გარე პერიმეტრზე და შესაბამისად არ არსებობს წინაპირობა გრუნტის წყლების და ნიადაგის დაბინძურების წარმოქმნის მიმართულებით, რადგან საწარმოო პროცესი მიმდინარეობს ტერიტორიაზე, სადაც ნარჩენების დამუშავების უბნები მობეტონებულია.

ავტოგასამართი სადგურის ექსპლუატაციისას შესაძლოა წარმოიქმნას სახიფათო ნარჩენი, როგორიცაა ნავთობით დაბინძურებული ქვიშა, ტანისამოსი, აბსორბენტი და სხვა ნარჩენი. მათი შენახვა მოხდება სპეციალურ კასრებში სეპარაციის პრინციპის დაცვით და შემდგომში დამუშავების/განადგურების მიზნით გადაეცემა გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების/ნებართვის მქონე კომპანიას. ნარჩენების მართვა ხორციელდება შესაბამისი კოდექსის მიხედვით. ნარჩენების მართვის გეგმაში გათვალისწინებული იქნება აღნიშნული ობიექტი.

ნავთობით დაბინძურებული ქვიშის ან ნიადაგის ფენის წარმოქმნის შემთხვევაში, აღნიშნული ნარჩენი გადაეცემა კომპანიას, რომელსაც მოცემული ნარჩენის ბიორემედიაციისათვის მიღებული აქვს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება/ ნებართვა.

ნავთობით დაბინძურებული წყლის შემთხვევაში ნარჩენი გადაეცემა კომპანიას, რომელსაც აქვს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება/ ნებართვა მოცემული ნარჩენის დამუშავების (სეპარირების/ინსინერაციის). ნავთობით დაბინძურებული წყლის წარმოქმნა მოხდება საწვავის რეზერვუარების გარეცხვისას, რის შესახებაც წინასწარ ეცნობება შესაბამისი ლიცენზიის მქონე კომპანიას ნარჩენების წარმოშობის თაობაზე.

რაც შეეხება ნიადაგის ნაყოფიერ ფენას, აღნიშნული ტერიტორია არის მოდიფიცირებული ანთროპოგენული ზემოქმედებისგან, შესაბამისად ნაყოფიერი ნიადაგის

ფენის მოხსნა არ მომხდება. სხვა შემთხვევაში წინასწარ განხორციელდებოდა რეკულტივაციის გეგმის შედგენა და კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებების გატარება.

ავტოგასამართი სადგურის ექსპლუატაციისას სარემონტო სამუშაოების ჩატარების შემთხვევაში, წარმოქმნილი სამშენებლო ნარჩენის გატანა განხორციელდება კანონმდებლობის სრული დაცვით, მისი გადაცემა მოხდება გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება/ ნებართვის მქონე შესაბამის ორგანიზაციაზე. მუნიციპალური ნარჩენის გატანა მოხდება შესაბამისი მუნიციპალური სამსახურის მიერ, გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე. ნარჩენების შეგროვება მოხდება სპეციალურ კონტეინერებში, სეპარირების პრინციპის დაცვით.

სახანძრო უსაფრთხოების მიზნით, ავტოგასამართი სადგური უზრუნველყოფილი იქნება სახანძრო ინვენტარით და საჭირო რაოდენობის პირველადი ქრობის საშუალებებით (ცეცხლმაქრებით). დამატებით მოეწყობა ხანძრის აღმომჩენი სახანძრო სიგნალიზაცია, რომელიც დაექვემდებარება პერიოდულ შემოწმებას.

აღნიშნული ობიექტი თავისი ზომიდან და სპეციფიკიდან გამომდინარე, არ მოახდენს ტრანსსასაზღვრო ზემოქმედებას.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ობიექტის უარყოფითი გავლენა გარემოზე დაბალია, შესაბამისად კუმულაციური ზემოქმედებაც მინიმალურია.